F72 / 7100

ახალგაზრდა ვერიელი

გამოდის გვიანდელ 1921 წლიდან

2 ივნისი № 61 (11547) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ „თურქი-მესხების“ შესახებ

ჩვენი გაზეთის 29 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს ე. წ. „თურქი-მესხების“ შესახებ ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. რედაქციამ, როგორც წინა ნომერში ვწერდით, ოპერატიული სიტუაციის გამო, მაშინვე ვერ შეძლო დაკავშირებოდა რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს სათანადო კომენტირებისათვის. შემდეგ გვაცნობეს, რომ მთავრობა მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას, რომ ე. წ. „თურქი-მესხების“ ჩამოსახლება არც ამჟამად და არც მომავალში არ იქნება დაშვებული.

და მაინც, რამ გამოიწვია ასეთი შეშფოთება, სხვადასხვა ხმების გავრცელება?

რედაქციამ გადაწყვიტა შესაძლებლობის ფარგლებში ადგილზევე გადაემოწმებინა გავრცელებული ხმების სიზუსტე.

გუშინწინ 31 მაისს ჩვენი კორესპონდენტები — მწერალი ამირან კალაძე, მეცნიერ-მუშაკი ბურამ ჩაჩანიძე და ჟურნალისტი გიგლა გოგბეჩია იყვნენ „წითელი ხიდის“ მიდამოებში, აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონში მის მიმდებარე სოფლებში შეხვდნენ ე. წ. „თურქ-მესხებს“.



ხალხში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს ე. წ. „თურქი-მესხები“ დაბინავებული არიან ყაზახის რაიონში, „წითელი ხიდის“ მისადგომებთან, გზის პირას, არ დადასტურდა, მაგრამ ისინი არიან ამ რაიონში, სხვადასხვა სოფლებში.

ყაზახის რაიონში ე. წ. „თურქი-მესხების“ ჩამოსვლა ფერღანის ამბების შემდეგ დაიწყო. ადგილობრივ აზერბაიჯანელთა ჯგუფმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო და ამის გამო გულთან ახლოს მიიტანეს მოძმეთა გასაჭირი. რაიონი დაზარალებულთ ეხმარება სურსათით, ფულადი სახსრებით, ცდილობენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას. სთავაზობენ სამოსახლო მიწებს.

ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა, მათი პრობლემაა, ჩვენ ის უფრო გვაინტერესებდა, თუ რას ფიქრობდნენ თავად ისინი — ე. წ. „თურქი-მესხები“, როგორია მათი განწყობა, დამოკიდებულება, გეგმები.

ყველაზე კომპაქტურად „თურქი მესხები“ დაბინავებულნი იყვნენ სალოღლის სასოფლო საავადმყოფოში — დაახლოებით 100-მდე სული. ისინიც აქ ფერღანიდან და ტაშკენტიდან იყვნენ ჩამოსულები.

ჩვენთან საუბარში მათ კატეგორიულად განაცხადეს, რომ ისინი არავითარი „თურქი-მესხები“ არ არიან, არიან მხოლოდ თურქები. მორჩა და გათავდა. ალბათ, ამიტომაც მოითხოვეს მათ ჩვენთან დიალოგში თურქული სკოლების გახსნა. მათ თურმე ეს სიტყვა — **მესხი** მხოლოდ ერთი წლის წინათ გაიგეს. ვერ ან არ გვითხრეს, რის გამო მოექცნენ ასე სასტიკად ფერღანაში. საოცრად უსაბუთოდ ამტკიცებდნენ, რომ ჯავახეთში ისინი ძმურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველებთან. კონკრეტულად ვერ გვიპასუხეს, როდის ან ვის აქვს ჩაფიქრებული მშვიდობიანი სვლა საქართველოში, რადგან მოსკოვიდან „თავიანთი კაციდან“ ელოდებიან ნებართვას. ხოლო ის, თუ ვინ არის ეს კაცი, ვერ ან არ გვითხრეს.

ყველა, ვისაც ჩვენ გავესაუბრეთ (საუბარი მაგნიტოფონზე დაფიქსირდა), ხაზს უსვამდა იმას, რომ მათი სამშობლო საქართველოა, მაგრამ არიან მხოლოდ თურქები (!) და არავითარ შემთხვევაში თურქი-მესხები, რომ ჩამოსახლების შემთხვევაში ისინი იცხოვრებენ მხოლოდ ახალციხესა და ადიგენში, გამონაკლის შემთხვევაში. სხვაგანაც...

კიდევ ბევრი რამ გამოიკვეთა იმ დღეს. ხალხი, ვისაც ჩვენ შევხვდით, მართლაც საცოდავია და ქვის გული უნდა გქონდეს კაცს, რომ მათმა ყოფამ თანაგრძნობით არ განგმსჭვალოს. მაგრამ, ფაქტია, რომ ქართველ ხალხს მათ ცოდვაში ბრალი არ უდევს. შესაძლოა, ისინი ახლაც ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიების გამო უარეს სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ბევრად უარესში, ვინემ ახლა არიან.

●

როგორც ითქვა, ცნობამ ე. წ. „თურქი-მესხების“ შესაძლო შემოსვლის შესახებ, შეაშფოთა რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

ეს ცნობა, იმ მონაცემებით, იმ შეხვედრებით, რომელიც ჩვენ გვქონდა ყაზახის რაიონში, არ დადასტურდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს საზღვარი „წითელ ხიდთან“ გაძლიერებულ კონტროლზეა. დღეს აქ, როგორც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა რომან გვენცაძემ გვითხრა, „ყოველი შემთხვევისთვის დადგება გაძლიერებული დაცვა, რომ საქართველოს მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს თურქების შემოსვლას საქართველოში“.

• • •

სურათებზე: საუბარი „თურქ-მესხებთან“ სოფელ სალოღლიში; საქართველოს შს მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე „წითელ ხიდთან“ ინტერვიუს აძლევს პროგრამა „მოამბის“ კორესპონდენტს.

მოდიოდა ნინო მთებით

პირველ ივნისს ქართულმა ეკლესიამ მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა იდღესასწაულა. წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლამ (323 წელს) საფუძველი დაუდო ქართველთა გაქრისტიანებას, ამიტომაც იგი ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად იწოდება.

გასულ წელს მორწმუნეებმა ფეხით იმგზავრეს ნინოს გზაზე ფარავნის ტბიდან ვიდრე მცხეთამდე. წელსაც მორწმუნეთა 100-კაციანი ჯგუფი კვლავ ფეხით გამოემგზავრა ამ გზაზე. მგზავრობის დასასრულს კი სამთავროს ტაძარში, რომელიც მცხეთაში ნინოს საყუდელზე აიგო, ალბათ კვლავ გაიმართება დიდი სასულიერო ზეიმი. ეს უკვე კეთილ ტრადიციად მკვიდრდება.

„უნათლისმცემელ ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეკრიბე ქართველნი და მიჰგვარე ღმერთსა მართალსა დედაო, წმინდაო ნინო! ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა“...

ნაბ. ასო ჯ. მარჯანიშ. სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ტრაგედია თბილისში

გუშინ, 1 ივნისს, დაახლოებით 15 საათზე თბილისში, ფუნიკულიორზე ამავალ საბაგირო გზაზე მოხდა ტრაგედია. არის მსხვერპლი.

რედაქცია თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს, ახლო ნათესავებსა და მეგობრებს.

ტრაგედიის მიზეზების გამოსარკვევად შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბეგლარ მახარაშვილი.

ტრაგედიიდან 2 საათის შემდეგ აღმგზული ინტერვიუ

1 ივნისს ირაკლი ნიჟარაძე სიკვდილს გადაურჩა და სხვებიც გადაარჩინა

უცებ ვიგრძენი, რომ ვაგონი მოსწია. ყვირილი? არა, არ მაგონდება... ყველაზე ადრე გონს, ხსოვს, არ გამიგია, ელვის სისწრაფით მოვბრუნდით ქვემოთ. როგორც მახსოვს, გამყოლი მოეგო და სამუხრუჭე ონკანი ჩა-

(დასასრული მე-2 გვ.).

მაშლუქიდან... ლეიტენანტამდე

ესტონეთის ეროვნულ მოძრაობაზე შექმნილ მეტად საჭირო და საინტერესო სერიალიდან ქალბატონმა მარიკა ბაქრაძემ 24 მაისის „მოამბეში“ შემოგვთავაზა ინტერვიუ ტალინში მცხოვრებ ქართველ სამხედრო პირთან. (თუ არ ვცდები, გვარად გოდერძიშვილთან).

მე არ ვიცი, რამდენი წელი ცხოვრობს იქ ე. წ. საბჭოთა არმიის ეს ახალგაზრდა ქართველი ლეიტენანტი. არც ის ვიცი, რა შერჩა მას ქართული გარდა გვარისა. რა მიზეზით ამტვრევს შმობლიურ ენას (თუ, რა თქმა უნდა, შმობლიურად სხვა ენას არ თვლის!) მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ ამ ახალგაზრდა კაცში, რბილად რომ ვთქვათ, პიროვნების გაორებასთან გვაქვს საქმე.

თავად განსაჯეთ, ერთი მხრივ ის დაბეჯითებით აცხადებს, რომ პირველ რიგში როგორც დეპუტატი, მთელი არსებით იბრძოლებს ესტონეთში სამხედროების ინტერესების დასაცავად. (ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ლაპარაკია არა თავისუფალი ესტონეთის ეროვნულ გვარდიაზე, არამედ იქ დისლოცირებულ რუსეთის „ინტერნაციონალურ“ საოკუპაციო ჯარზე, რომლის ერთ-ერთი და აქტიურად მომქმედი ლეიტენანტიც ეს ჩვენი თანამემამულე ყოფილა!) ხოლო მეორე მხრივ, თავისი ცალყბა განცხადებით, იგი თითქოს თანაუგრძნობს ესტონელი ხალხის ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

ჰეშმარიტად ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს! — ესტონეთის მიწაზე თუ საოკუპაციო ჯარის ინტერესებს დაიცავ (რომლის დაუყოვნებლივ გაყვანასაც კარგანანია მოითხოვენ მთელს ბალტიაში!) ნეტავ ამით ესტონელების ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას რანაირად უნდა თანაუგრძნო?! ხომ არ შეიძლება ერთდროულად დათვსაც ეშმარებოდე და ბიძაშვილსაც!

ესტონელებმა, რა თქმა უნდა, შვენივრად იციან, რომ საბჭოთა არმიის ერთი ლეიტენანტის აზრი სულაც არ გამოხატავს მთელი საქართველოს დამოკიდებულებას მათ მიმართ. სხვათა შორის, მე ვიცნობ ქართული გვარით ტალინში დაბადებულ კიდევ ერთ კაცს, ვინმე კონსტანტინე კაკნაძეს, რომელმაც თავის დროზე, როგორც იტყვიან, სირცხვილი გვაჭამა რუსულენოვან ინტერფრონტთან მეტად აქტიური თანამშრომლობით ესტონელი ერის წინააღმდეგ. ამიტომაც მივწერე ვრცელი ღია წერილი („ახალგაზრდა კომუნისტი“ 9. IX. 89) და დიდად გავიხარე თუ გავიგე, რომ ბატონმა კონსტანტინემ პოზიცია შეიცვალა ესტონელი ხალხის სასარგებლოდ.

თუმცა კაცმა რომ თქვას, რას გადავეკიდე შორეულ ესტონეთში მცხოვრებ ორიოდე ქართველს, როცა თვით საქართველოშიც მრავლად გვყავს „შორსმჭვრეტელურად“ გაორებული ქართველები, რომლებიც, ბალტია იქით იყოს, და, თვით სამშობლო ქვეყნის ბედით, მიწითა და, ასე განსაჯეთ, — ეროვნული მოძრაობითაც კი, სარფიანად ვაჭრობენ!!!

ჩვენ ამ ბოლო ხანებში ხშირად ვახსენებთ ყველასათვის ცნობილ „მეხუთე ძალას“, რომელიც არის უპირველესი ინსპირატორი მზაკვრულად დაგეგმილი ეთნოკონფლიქტებისა, ექსტრემიზმისა, ტერორისა... მაგრამ ამასობაში გამოგვრჩა თუ დროზე ვერ შევნიშნეთ ყველაზე-ვერაგი „მეოთხე ძალა“ და აი, ისიც! — **ქართველები ქართველების წინააღმდეგ!** მანამდე ჩვენ გამოვცადეთ ყველა სახეობის დარტყმა. მათ შორის ორლესური ნიჩბებითაც! მაგრამ თავისი სისასტიკით ბევრად ამაზრზენი აღმოჩნდა ეს სატანური „მეოთხე ძალა“, რომელიც მე პირადად გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ჭკუის სასწავლი ისტორიის სისხლიან გზაზე ქართველებმა საბოლოოდ ჩამოვიცილეთ!... თურმე ჯერ სადა ხარ! მოგეხსენებათ, თანამედროვე პირობებში იგი პირველად (და სამწუხაროდ **„წარმატებით“**!) გამოიცადა „სტუდენტურ პოლიგონზე!“ დიახ, ანტიქრისტეს კარნახით ამ ძალის ყველაზე „გეგმაზომიერი“ დემონსტრირება მოხდა ყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართულ მიტინგზე, სადაც „ჭკვიანმა ბიძებმა“ ერთმანეთს მიუსიეს ე. წ. კომკავშირელი აქტივისტები და დანარჩენი ახალგაზრდობა!

ყველაზე სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რას მოიმოქმედებენ მომავალში ძველი და ახალი თაობის ქართველი „ცდუნებულნი“ კომუნიზმის, კომკავშირისა და „სესერეკას“ სახელით!..

რუსეთის საოკუპაციო ჯარის ქართველმა ლეიტენანტმა გოდერძიშვილმა უნებლიედ ლეიტენანტი გოდერძი მახარაშვილი გამახსენა „ჯარისკაცის მამადან“... ახლა ისიც ვიფიქროთ, რა განსხვავებაა ისტორიულ ქართველ მამლუქსა და დღევანდელი რუსეთის ჯარის ქართველ გენერალ-ლეიტენანტს შორის? სხვაობა „უმნიშვნელოა“ — წინათ ქართველ ბავშვებს იპარავდნენ და იმთავითვე მამლუქებად ჰყიდნენ, რუსეთის გენერლად კი ბავშვობიდანვე იბევებენ და „სპეტნაზში“, „ზარნიცაში“, „ორლიონოკში“, კომკავშირში, პარტიაში და ა. შ. მანჭურთული წესებით წრთვნიან...

მაგრამ დადგება დრო და ჩვენს გოდერძიშვილზე და კაკნაძეზეც იტყვიან: არც ერთი იყო რუსი და არც მეორე ინტერფრონტელი, ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ!

ამირან კალაძე

ტრაგედიიდან 2 საათის შემდეგ აღებული ინტერვიუ

(დასასრული)

ირაკლი ნიუარაძე.
გ. სანაიას ფოტო.

ამასობაში ზემოდან მომავალი ვაგონი დაგვეწია და გვერდი წაგვკრა. ჩვენმა ვაგონმა ქანაობა დაიწყო და „ვიშკას“ შეასკდა. ვაგონი შუაზე გაიხლიჩა. ხალხის ნაწილი ძირს ჩაცვივდა. ერთი გოგონა, რომელიც დამსხვრეულ მინაზე უნდა დაცემულიყო ყელით, უკნიდან თმებით მოვქაჩე. ორ ახალგაზრდას, რომლებიც ღია კარებთან იდგნენ, მე უკნიდან ვეღობებოდი, რათა ჩაგლეჯილი იატაკიდან არ ჩაცურებულიყვნენ. გადარჩენის ერთადერთ გზად კარებიდან გადახტომა ჩავთვალე, მაგრამ კარებში ის ორი ახალგაზრდა იდგა. როგორც კი ვაგონი ერთ-ერთი სახლის სახურავს გაუსწორდა, ორივეს ქვეითკენ ვუბიძგე და მეც მივყევი. ისინი შედარებით უკეთეს ადგილას დაეცნენ — რამდენიმე მეტრი დასაცურებელი ადგილი დარჩათ, მე კი სახურავის კიდეს ჩამოვეწოლაუჭე, ფეხები უკვე ქვეითთ მქონდა გადაკიდებული და რაღაც სასწაულით შევიმაგრე თავი. აი, ნახეთ, ხელები რას მიგავს! ალბათ, რაგბიში ვარჯიშმა მიშველა, იქნებ, გადახტომაც ამან გამაბედვინა. სიმაღლე 8-10 მეტრი იქნებოდა. მაშინ არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ გადახტომისას რაღაცნაირად შევეცადე ხელებისა და ფეხების წვერებზე დავცემულიყავი. სახურავიდან სახანძრო კიბით ეზოში ჩამოვედი თუ არა, ზემოთ გავიქეცი იმ ბავშვის მოსაძებნად. ჰო, მართლა, დამავიწყდა — ვაგონი რომ მოწყდა და მთელი სიჩქარით გამოექანა ქვემოთ, ერთმა ქალმა სამიოდე წლის ბავშვი, რომელიც ხელში ეჭირა, ძირს გადმოაგდო. ბავშვმ, სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე, მაგრამ ყველას გავაგებინე ამის შესახებ. მერე ფერდობზე ტყეში ჩემი მეგობრები შემხვდნენ, რომლებიც წინა რეისით ავიდნენ ფუნიკულიორზე და იქ მელოდებოდნენ. ცოცხალი რომ დამინახეს, ტირილი დაიწყეს.

ი. ნიუარაძე.

ირაკლი ნიუარაძის ნაამბობი, გადატანილი შოკის გამო, შესაძლოა, დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ, იმედია, შექმნილი სამთავრობო კომისია გამოარკვევს ტრაგედიის მიზეზებს და საზოგადოებრიობა გაიგებს თუ ვისი სამსახურებრივი დაუდევრობით დაიღუპა ხალხი.



საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ზემობრუნება

როგორ შეიძლება კაცი საკუთარი სოფლისაკენ მიახედო?. რა დააკავშირებს მას გაწყვეტილ ძირძველ ფესვებთან?! რას შეუძლია მეორე სუნთქვა გაუხსნას, ნოსტალგიის ძალით წინაპართა ძვალთშესალაგისაკენ მოაბრუნოს?! უთუოდ რწმენას! ჩვენც ასე ვიფიქრეთ.





სულ ახლახან, 6 მაისს, გიორგობისას, თვით კოკისპირულმა წვიმამაც ვერ შეაჩერა ადამიანთა წყება და ჩხოროწყუს რაიონის ერთ პატარა სოფელში — ნაკიანში ამოიყვანა, სადაც 1924 წელს წითელმა ათეისტებმა წმინდა გიორგის ეკლესიას სახურავი მოხადეს, დაარბიეს, შემდეგ წლების მანძილზე ეკლესია სუროთი და ხვიარებით შეიძაძა, და აი, თითქმის 66 წლის შემდეგ ღვთის ნებითა და კეთილი ადამიანების ძალისხმევით ეკლესიამ კვლავ ოდინდელი პეწი დაიბრუნა. დაიბრუნა კი არა, ორგზის გამშვენიერდა, ალუმინით გადაიხურა, შეიმინა, რკინის კარები გაუკეთდა.

ორიოდე წლის წინათ სოფელში ანზორ გოგუა დაინიშნა ნაკიანის მეთხეობის სანაშენე მეურნეობის დირექტორად. მაშინ მეურნეობა ვალებში იყო. უჭირდათ გზაც, სანათლეც და ტელეფონიც.

სწორედ ანზორ გოგუამ ითავა ეკლესიის აღდგენა, რადგან მისი აზრით, აქ ზარების დაგუგუნება, წირვა-ლოცვის ჩატარება აქედან წასულ შვილებს მოახედებდა.

წინა დღეს ცაიშის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა ამირანმა (შენგელიამ) აკურთხა ეკლესია, 6 მაისს კი წმინდა გიორგის პარაკლისი გადაიხადა. ჩაატარა ნათლობა, ჯვრისწერა. სახარების წმინდა სიტყვებმა სანთლებთან ერთად გაათბო ეკლესიის ერთ დროს ძალად გაცივებული კედლები და ხალხის გულიც. დიახ, ბევრმა მოიხედა საკუთარი სოფლისაკენ ამ დღეს, ზოგიერთმა მობრუნებაც ისურვა და მიტოვებულ კარ-მიდამოზე, კერიაზე. ცეცხლის აგზგზება.

კიდევ ერთი დიდი საქმე გააკეთა ეკლესიის გახსნამ სოფელში. შესანიშნავი სამშენებლო ქვა აღმოაჩინა (ხელმეორედ) აკურებს. აქ მალე ქვის კარიერი გაიხსნება, რომელიც ეკოლოგიურად საშიში არ არის. სოფლისთვის კი დამატებითი ეკონომიკური სიმძლავრე იქნება.

ნაკიანის ღვახალეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გვიანდელი პერიოდისაა. სატრაპეზოს წინ კანკელის ხის ზედაძელზე წარწერაა შემორჩენილი — 1672 წ. ეკლესია პატარა ზომისაა, მაგრამ მკვიდრად ნაგები და კოხტა. შიგნით კი ექვსი სვეტის თავი ჩუქურთმითაა დამშვენებული. საერთოდ, ჩხოროწყუს რაიონში ქვის გუმბათოვანი ეკლესია არსად არ ყოფილა აგებული. ყველაზე ძველი ბაზილიკური ტიპისა, ოცინდალეს წმინდა გიორგისაა. ახლა მთელს რაიონში მიმდინარეობს მოძრაობა, რათა საკუთარი სამლოცველო ჰქონდეთ; მაგრამ ეს ერთობ ძნელი საქმეა, რადგან გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. არც თავად დაბა ჩხოროწყუს გააჩნია ეკლესია. უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა ადგილი, სადაც მომავალში უნდა აშენდეს ეკლესია. ტაძრის ასაშენებელი თანხის მოზიდვის მიზნით, რაიონში ჩამოყალიბდა საქველმოქმედო კულტურულ-რელიგიური საზოგადოება „ამაღლება“, რომელიც, მიზნად ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგიის პროპაგანდას რაიონში ეკლესიების აღდგენა-აშენებისათვის ხელისშეწყობას ისახავს, უპირველესად. ჩხოროწყუს აგრომრეწვბანკში, გახსნილია სპეციალური ანგარიში, რომლის საანგარიშსწორებო ნომერია 70055. თანამემამულენი, რომლებიც გაბნეულნი არიან მთელს რესპუბლიკაში, ალბათ, თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ საღვთო საქმის მოგვარებაში.

**კოტე ნაჭუე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გზა ადამიანთა გულებზე გადის...

ფუხრანში, სოფლის სასაფლაოზე, ძველისძველ ეკლესიასთან, საფლავი ვნახე. როგორც ჰყვებიან, ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ, ერთ დღეს, სოფლის შარაზე ხეიბარი „ბრადიაგა“ რუსი გამოჩენილა. როგორ, რანაირად, საიდან — თავადაც არ ახსოვდაო. შეუფარებია ეს რუსი სოფელს, საცხოვრებელი მოუქოხმახებია მისთვის, სარჩო-საბადებელი გაუყვია. მეზობლად უცვნია, თავისიანებში არ გამოურჩევია, დაუსაქმებია და რამდენადაც შესძლებია კაცადაც უქცევია... მერე კი, როცა თავისი დრო მოუჭამია, სოფლის სასაფლაოზე მიუჩენიათ სამუდამო განსასვენებელი. საფლავი მოვლილი ვნახე, უნათესაოდ, უშვილ-ძიროდ გადაგებული, უცხოტომელი კაცის საფლავი...

●

ახლაც ყურებში მიდგას ერთი წლის წინათ ახალქალაქის რაიონის სოფელ პტენის სკოლის დირექტორის მიერ საგანგებო სიფრთხილით ნათქვამი, თბილისიდან ჩამოსულთ რომ უთხრა, თუ ქართულ სკოლას შეაკეთებთ, სომხებს გავანაწყენებთო...

●

უნდა გენახათ, თურმე რა გალალებული, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრობდა ჩვენში ეს უგზო-უკვლოდ, უმიზნოდ და უსაგნოდ გადმოგებული რუსი მუხრანში, ქართველთა შორის...

ანდა რაა გასაკვირი...

საქართველოში ხომ ყველა ქრისტიანი და არაქრისტიანიც „ეძიებდა და ჰპოვებდა“, მხოლოდ ქართველი რჩებოდა „მოთმინებითა“ თვისითა.

●

ახალქალაქის რაიონში 69173 მოსახლე ბინადრობს, მათგან ქართველი მხოლოდ 2200. რაიონის 6 ქართულ სოფელში 90 პროცენტი მიწურებსა და საცხოვრებლად უვარგის სახლებში ცხოვრობს. გასულ წელს ამ სოფლებში აჭარიდან გადმოსახლებულთათვის 266 ორსართულიანი სახლი აშენდა. მაგრამ აუცილებელია ადგილობრივი ქართველებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაც, რადგან გარდა იმისა, რომ ეს ჩვენი ერის ღირსების საქმეა, მისი სასიცოცხლო ძარღვიცაა. ამიტომ საჭიროა კიდევ 250 სახლის აშენება. ამის შესახებ იცის უკვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ, სახმშენმა...

მაგრამ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, არ იცის ფართო საზოგადოებამ, ჯერ-ჯერობით — არც მე.

ამას ემატება ისიც, რომ მძიმე საცხოვრებელი პირობებისა და იძულებითი მიგრაციის გამო, თავის დროზე ბევრმა ქართველმა დატოვა მშობლიური ჯავახეთი. დღეს ისინი უკან დაბრუნებას თხოულობენ...

და მაგონდება ტფილისში, 1889 წელს გამოცემული დ. ბაქრაძის ისტორია საქართველოსი, სადაც ესეც სწერია „ქართველის დაგლეჯა სომხებისაგან და დაცემული ჩვენი ზნეობა“.

როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა ჯავახეთში უკან დაბრუნებული ქართული ოჯახებისათვის სახლების მშენებლობის საკითხის ოპერატიული გადაწყვეტა?

თუმცა ზოგნი მიკიჟინებენ, უცბად ბევრი ხომ არ მოვისურვეთ? რამდენ ხანს გვქონდა იქაურობა მიტოვებული? რაც დაგვემართა, ჩვენითაო.

ლოგიკურია, მაგრამ არ ვეთანხმები.

ხომ უნდა აღსდგეს დაცემული ჩვენი ზნეობა? დაგლეჯილი ჩვენი მამული? ზოგადად და კონკრეტულად, ყველგან და ყველაფერში!

●

შემოდგომის მერე აღარ ვყოფილვარ ჯავახეთს. იქ განვითარებულ მოვლენებზე ბევრი რამ შევიტყე ამას წინათ მეცნიერებათა აკადემიაში საქართველოს მთიანეთის შემსწავლელი რეგიონალური კომისიის სამცხე-ჯავახეთის სექციის სხდომაზე, რომელიც ამ კომისიამ მოიწვია რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ასოციაცია „ჯავახეთთან“ და გაერთიანება „ელვასთან“ არსებულ სამცხე-ჯავახეთის აღორძინების არაფორმალურ გაერთიანებასთან ერთად.

რაღა დაგიმალოთ და გულმოდგინედ ვადევნებ თვალყურს სამცხე-ჯავახეთში „ელვას“ საქმიანობას. ვიცი, რის ფასადაც უჯდებათ იქ მოღვაწეობა. ამიტომაც არც ეს სათაური დამირქმევია უმიზეზოდ ამ ამბისათვის.

გზა, რომელიც ადამიანთა გულებზე გადის, მწარე სინამდვილეა და არა ლირიკა.

ამიტომაც უკვე კატეგორიულ მოთხოვნად იქცა:

საჭიროა შეკეთდეს უმოკლესი გზა თბილისი-წალკა-ბოგდანოვკა, რომლის სიგრძე 169 კილომეტრია. ეს საგრძნობლად შეამოკლებს ამჟამად მოქმედს — თბილისი — ბორჯომი — ახალციხე — ახალქალაქი — ბოგდანოვკა, რომლის სიგრძე 320 კილომეტრია.

ყველა გზას თავისი სახელი აქვს...

ყველა გზა სადღაც გადის.. ზოგი სინდისზე, ზოგი ღირსებაზე...

ეს გზა კი მხოლოდ ადამიანთა გულებზე გადის, რადგან მასთან ძალზე მტკივნეულად არის დაკავშირებული ჩვენი უძველესი, მიტოვებული, მივიწყებული, დაბეჩავებული სამცხე-ჯავახეთის ხვალინდელი დღე.

●

მე არ შემიძლია არ გაგაცნოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დღეს წაიკითხეს აკადემიაში. ის ლაქი — ბოგდანოვკა, რომლის სიგრძე 320 კილომეტრია.

ყველა გზას თავისი სახელი აქვს...

ყველა გზა სადღაც გადის.. ზოგი სინდისზე, ზოგი ღირსებაზე...

ეს გზა კი მხოლოდ ადამიანთა გულებზე გადის, რადგან მასთან ძალზე მტკივნეულად არის დაკავშირებული ჩვენი უძველესი, მიტოვებული, მივიწყებული, დაბეჩავებული სამცხე-ჯავახეთის ხვალინდელი დღე.

●

მე არ შემიძლია არ გაგაცნოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დღეს წაიკითხეს აკადემიაში. ის საქენერგოს ენერგოზედამხედველობის მთავარ ინჟინერს გ. ჯავახაძეს შეუდგენია.

„საქართველოს ენერგოსისტემაში ელენერგიისა და სიმძლავრის დეფიციტის გამო საქენერგოს ამჟამად არ აქვს შესაძლებლობა დაკმაყოფილოს თქვენი თხოვნა ახალქალაქის რაიონის ს. ოკამში ქართულ პურის ცხობისათვის გამსახურდიას ტიპის ღუმელის გამოყენებაზე. პურის ცხობისათვის გამოიყენეთ სხვა წყარო“. ქვას გასტეხს ისე დასაბუთებით და ლაკონიურად ასკვნის ამხ. გ. ჯავახაძე. ის იყო ჩაფიქრდი და დავიწყე გონებით „ენერგიის სხვა წყაროს“ ძიება, რომ პროფესორ ბორის ლომსაძის ჩაბუზღუნებამ გამომარკვია, საცხობისთვის არ არის საკმარისი, თორემ ხუთასი მილიონერის ხუთასი ქვის სამტვრევი შეუფერხებლად მუშაობს ელექტროენერგიაზეო. ცოტა ალბათ გადააჭარბა პატივცემულმა პროფესორმა, თორემ კარგა გვარიანად მომრავლებული ქვის სამტეხლოები ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მათი პატრონების მილიონებს მე ვინ დამათვლევინებდა, მაგრამ იქ დამუშავებული ქვით რომ არცერთი ქართული ოჯახის სახლი არ აშენებულა, ამას არ უნდა ფიცი და მტკიცი.

●

მთავრობის ყოველ უწყებას საზოგადოებრივი ორეული შეექმნაო. უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებს მთავრობა და რა უნდა გააკეთოს ხალხმაო, ბრძანა ამ კომისიაზე ასოციაცია „ჯავახეთის“ პრეზიდენტმა, ბატონმა გიული ძიძიგურმა და დასძინა, მთავრობამ უნდა გაგვაცნოს თავისი მუშაობის გეგმაო.

მართალი ბრძანებაა.

როცა საქმეში შეუთანხმებლობაა, სხვათაშორის, გაკეთებულსაც ეკარგება მადლი და ხშირად ფუჭად ხარჯება დროც, თანხაც და ადამიანთა მონდომებაც.

ანალოგიური მდგომარეობაა მაშინაც, როცა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა, ან თუ იცის, დაჟინებით მოითხოვს... პირ-ვე-ლო-ბას! (თუ ეს ქართველის მარჯვენაა რაღა თქმა უნდა). მე მგონი ახლა მაინცდამაინც არ დაიწყებთ გულზე მჯიღის ცემას. ეს ჩვენი სენია. და რამ გამახსენა იცით? სწორედ ბატონი გიულის ზემოთ ნათქვამმა, მთავრობისა და ხალხის საქმიანობაზე რომ ბრძანა.

მაგრამ რა გინდა, რა? აღმოჩნდა, რომ გინდა ვიცოდეთ, გინდ — არა. ხასიათი ხასიათია. ეს დასკვნა კი მაშინ გავაკეთე, როცა გიული ძიძიგურის მოადგილე ქალბატონი ნანა ხაზარაძე აბრძანდა ტრიბუნაზე და იკითხა, რაღა საჭირო იყო „ელვამ“ რომ თავისი კომიტეტი შექმნა, არ სჯობდა ერთად გვემუშავაო? სხვათა შორის, მე ერთის დაფუძნებაც მახსოვს, მეორისაც, მაგრამ ასეთმა ავტორიტეტულმა განცხადებამ, ასეთი დარბაისელი ქალბატონისაგან დამაბნია და დასაზუსტებლად მაინც ვკითხე, პირველად რომელი შეექმნა-მეთქი? მართალია „ელვასთან“ არსებულიო, მაგრამ...(?!).

არა, ასეთი რამეების მე არა გამეგება-რა. ძალიან ცუდი ჯარისკაცი ვარ საამისოდ და ვერაფრით ვერ ვხვდები ამ პირველობის მუღამს...

შარშან შექმნილი სიტუაციების გამო, „ელვასთან“ არსებული სამცხე-ჯავახეთის აღორძინების არაფორმალური გაერთიანების თავმჯდომარეს ომარ გრიგოლაშვილს კინაღამ გულმა უღალატა ნერვიულობით და აქ მაინც თითს უქნევენ...

●

რაში იყო საქმეო, დაგაინტერესებთ ალბათ.

ქალაქ ბოგდანოვკაში 39 116 კაცი ცხოვრობს, აქედან — 36575 სომეხი, 2500 რუსი, 41 ქართველი. 1989 წლის 25 ნოემბერს ომარ გრიგოლაშვილმა და მისმა მოადგილემ დათო ქობალიამ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით აქ პირველად გახსნეს დაწყებითი ქართული სკოლა 6 ბავშვზე — I, II, III კლასით. ორმა ვაიქართველმა (როგორც მოიხსენიებენ მათ) გამოიყვანეს ბავშვები ქართულ სკოლიდან და დარჩა იქ მხოლოდ 2 ბავშვი.

გაგიკვირდეთ იქნებ, რომელი ილია ჭავჭავაძე ან იაკობ გოგებაშვილი არიან გრიგოლაშვილი და ქობალია, რა სკოლა, რის სკოლაო? რა და ის სკოლა, რომლის გახსნასაც დიდხანს წაუყრუა განათლების სამინისტრომ და რომელიც მათ გარეშე მაინც გაიხსნა.

და რომლის გამოც: გაერთიანებამ სასწრაფოდ გადარიცხა 150 ათასი მანეთი და შეიძინა 4 ბინა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რათა პირველ ეტაპზევე არ დახურულიყო ქართული სკოლა.

●

მე ერთხელ, ჯავახეთისადმი მიძღვნილ ჩემს ერთ წერილში უკვე გამოვიყენე, მაგრამ სულაც არ მგონია, რომ არასოდეს არ შემიძლია კვლავ გავიხსენო პოეტის ეს სტრიქონები:

ლურჯ მწვერვალებს ქარი
რძისფერ ნისლში ჰხვევდა...
და, როდესაც გულში ვარდი
ჰყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის
მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები
ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს
მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა
ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის
ჯვარი...

(ანა კალანდაძე)

●

ბოგდანოვკა. 1933 წლამდე მას გორელოე რქმევია, მაგრამ გორელოემდე რა ერქვა, ამაზე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია დუმს.

გაერთიანება „ელვასთან“ არსებული სამცხე-ჯავახეთის აღორძინების არაფორმალური გაერთიანება კი შემდეგს აცხადებს:

„ჩვენ დავსვეთ საკითხი, რომ ბოგდანოვკას დაერქვას წმიდა ნინო. ეს მოსაზრება გავუზიარეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, რომელმაც ლოცვა-კურთხევით დაგვილოცა გზა, თანხმობა მივიღეთ ბატონ გივი გუმბარიძისაგან და ბატონ ნოდარ ჭითანავასგან“.

ძალიან კარგი!

მაგრამ ქალაქსაც და რაიონსაც ისევ ბოგდანოვკა ჰქვია.

ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება?

●

ყველა გზას თავისი სახელი აქვს...

ყველა გზა სადღაც გადის... ზოგი სინდისზე, ზოგი ღირსებაზე...

ეს გზა კი მხოლოდ ადამიანთა გულებზე გადის...

ციცინო ფეიდლიშვილი

ძნუხარე საზეიმო საღამო...

იყო ცრემლი და საზეიმოდ მოროთული დარბაზები რაღაც საოცარ, ამ დღისათვის შეუფერებელ, უჩვეულო სევდას მოეცვა. კიდევ იყო უამრავი ყვავილი.

მწუხარება უსამანოდ იჭრებოდა სულში და არ იყო სიტყვა, რომელსაც დარდისაგან გულდასერილ დედას ეტყოდი... მდუმარედ მიმოდიოდნენ თვალეფფფინა გოგო-ბიჭები და ძაძით დათალხულ მანდილოსნებს მზერას არიდებდნენ, თითქოს რაღაც აკრძალულს, რაღაც მნიშვნელოვანს სტაცებდნენ შავი ჩარჩოდან მომზირალ ფიქრიან თვალებს.

ბოლო ზარი უშენოდ დაირეკა, ეკა,
სიცილი ცრემლისგან წაილეკა, ეკა,
დარდი გულში დაილექა, ეკა,
შენი ზარი 9 აპრილს დაირეკა, ეკა,
შენი ტანი დროშად აღგვიმართავს, ეკა!
ხელი ვის უფრო წარგვეშართა, ეკა!
ნეტა ვის უფრო გაგვიმართლა, ეკა!

დიახ, ისიც იქ, მათ შორის უნდა ყოფილიყო — მოამაგე პედაგოგებისა და თანატოლების გვერდით, 9 აპრილი რომ არა. ამ დღეს მისი თანაკლასელები ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები ბოლო ზარის დღეს ზეიმობდნენ. მაგრამ იქ გამეფებული სევდა ტრადიციულ საზეიმო განწყობილებას გულს ვერ უხსნიდა.

შეხვედრა დაიწყო. ეკა ბეჟანიშვილის თანაკლასელები და კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი ეუჟენა ალადაშვილი ჰირისუფლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ამ საოცრად ლამაზი დღის მონაწილეებს. ყველას თვალში ცრემლი ბრწყინავდა. მუდამ მხიარული გიორგი გეგეჭკორი და ქართლოს ქასრაძეც უხერხულად იშმუშნებოდნენ, თითქოს თავიანთი ჩვეული, ხალასი იუმორი ეჩოთირებოდათ კიდეც. არც ჯანსუღ ჩარკვიანს, გოგი ხარაბაძეს, თამაზ წივწივაძეს და სხვა მოწვეულ სტუმრებს გაჰკარებიათ ღიმილი. 83-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მიერ წარმოდგენილმა კომპოზიციამ კი თითოეული დამსწრის გული შესძრა.

ნინო ჯაფიაშვილს კი ცრემლი არც ერთი წუთით არ შეშრობია თვალზე. ის ხომ ეკას თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი იყო. საღამოც სწორედ მას მიჰყავდა ლევან ჩრდილელთან ერთად.

იყო მუსიკა, მაგრამ თამარ დავითაშვილის სიმღერა დედაზე გოდებას უფრო წააგავდა... ლექსიც იყო, მაგრამ ვერც ეკა ბაქრაძემ შესძლო უცრემლოდ თავისი სათქმელის გამოხატვა...

შემდეგ ბატონ ზვიად გამსახურდიას გადასცეს მიკროფონი. მისმა სიტყვამ მხნეობა შეჰმატა მოსწავლეებს.

იმ დღესაც არ უღალატა თავის ტრადიციას სამთო ქიმიის დირექტორმა ვახტანგ კვარაცხელიამ და სკოლის საუკეთესო მოსწავლეს გივი ურთმელაძეს ეკა ბეჟანიშვილის სახელობის პრიზი — შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.

117-ე სკოლასთან 9 აპრილმა დაამეგობრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეები. სწორედ იქ აღინიშნა დაღუპულთა ხსოვნის წლისთავი. ვასილ ბოსტანაშვილიც ამ მეგობრობამ დააკავშირა თავის თანატოლებთან. საკუთარი ლექსი უძღვნეს ეკა ბეჟანიშვილის ხსოვნას 51-ე სკოლის მოსწავლემ დიანა ყირიმლიშვილმა და ლევან კაკუნაშვილმა.

შემდეგ კი მართლაც დადგა ტკივილნარევი სიხარულით განზავებული წუთი — ჩაბნელებულ სცენაზე ცოცხალი ეკა გამოჩნდა, იმ შორეული, ლამაზი დღეების ექოდ რომ შემოგვინახა კინო-კამერამ. დარბაზი მისი ბავშვური, სევდიანი სიმღერით აივსო...

ზეიმი დამთავრდა. თუ შეიძლება ზეიმი ეწოდოს ცრემლითა და ტკივილით გაჯერებულ საღამოს. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. დღეს თუ ხვალ ეს გოგო-ბიჭებიც გაფრთხიალდებიან სკოლის კედლებიდან, ქალბატონი ციალა ჩერქეზიშვილი დედობრივი მზრუნველობით დაულოცავს გზას ახალგაზრდებს. მხოლოდ ეკა ბეჟანიშვილი დარჩება თავისი საყვარელი სკოლის კედლებში სამუდამოდ. მისი სახელის უკვდავსაყოფად გახსნილ სამუზეუმო ოთახში, თავისი ბავშვობის სურათებთან, წიგნებთან და სიკვდილის მეგობრებთან ერთად, სევდიანი სტენდებიდან რომ ჩამოგვყურებენ.

ვარიკა ბაქრაძე

ალტერნატიული ფურცელი

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები. 1990 წლის 30 სექტემბერი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღე.

1990 წლის 29 მაისს, სამშობლოს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში (ყოფილ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, მოთა რუსთაველის გამზირი № 29) გაიმართა საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის პირველი სხდომა. როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე საკოორდინაციო ცენტრი არჩეულ იქნა, როგორც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებითი ხელმძღვანელი და მაკორდინირებელი ორგანო, რომელიც იფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებამდე. საკოორდინაციო ცენტრის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი წერეთელი.

სიტყვებით გამოვიდნენ: გურამ ბერიძეული (თბილისის პოლიტიკური კლუბი) თენგიზ შარმანაშვილი (საქართველოს დემოკრატიული პარტია). მამუკა გიორგაძე (საქართველოს ეროვნული დემოკრატიული კონგრესი) ალექსანდრე ბარამიძე (ქართველთა ეროვნული ერთიანობის ფრონტი), ალეკსანდრე ლეონიძე (ეროვნული ფრონტი), ალეკსანდრე ჩიქოვანი (ეროვნული ფრონტი), ალეკსანდრე ბაბალი

ტკივილები, რომლებიც არ იკურნება...

1 ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა და განწყობილებაც შესაბამისად სადღესასწაულო უნდა იყოს, მაგრამ ბოდიშს მოვიხდით, თუ დღევანდელ წერილში ტკივილი და სევდანარევი ტონიც გაჟონავს...

საქართველოს ბავშვთა ფონდი სამიოდე წელია შეიქმნა და მისი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ, სტიქიით დაზარალებულ და მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებს. ბავშვთა ფონდში (ლერმონტოვის ქ. № 8), უკვე ბევრს ნახავთ დახმარებისა და თანაგრძნობისათვის მისულს, მაგრამ უმრავლესობა უკიდურესად გაჭირვებულია. რომელსაც იმავწუთს სჭირდება კონკრეტული დახმარება. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბავშვთა ფონდის დირექტორი **დოდო ეგუტია** მართალია რკინის ქალამანს იცმევს, ოღონდ დაეხმაროს, სალბუნად დაედოს სხვების ტკივილს.

— ქალბატონო დოდო, რრიოდე სიტყვით ბავშვთა ფონდის დღევანდელ საქმიანობაზე თუ მოგვითხრობთ...

ჩვენი მთავარი და მთავარი საზრუნავი ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებია, რომლებიც საქართველოს 12 საბავშვო სახლში იზრდებიან, წელს ასზე მეტი ბავშვი იღებს სიმწიფის ატესტატს, ტოვებს საბავშვო სახლის კედლებს. თუ წინა წლებში ამ დღისათვის მივდიოდით საჩუქრებით, ვრიცხავდით თანხას, წელს უფრო რთულ საქმეს შევეჭიდეთ — გადავწყვიტეთ გამოსაშვები კლასის ბავშვებისათვის შეგვეძინა ტანსაცმელი სწორედ იმ გემოვნებითა და იმ განწყობილებით, როგორც ეს ჩვეულებრივად, მშობლების ყურადღებით გარემოცულ ოჯახებში ხდება. ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდა, რომ გოგონებისათვის ზომების მიხედვით, შეგვეძინა იმპორტული წარმოების საღამოს კაბები, ხოლო ვაჟებისათვის სპეციალურად შეგვერჩია კოსტიუმები. „თბილმრეწვავაჭრობისა“ და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მეშვეობით ეს პრობლემა დადებითად გადაწყდა. ტრადიციულად, 1 ივნისს ვხსნით ახალ ობიექტს — აკაკი წერეთლის სკვერში ვამთავრებთ საბავშვო კაფეს მშენებლობას, რომელსაც „ჩანგი“ ჰქვია. მის მშენებლობაზე ჯერჯერობით 18 ათასი მანეთია გახარჯული. ეს იქნება კაფე, სადაც საბავშვო სახლის აღსაზრდელებს საშუალება ექნებათ გადაიხადონ დაბადების დღეები, მოეწყობა შეხვედრები. აქ ყველა პირობას ვქმნით ბავშვების ნორმალური დასვენებისა და გართობისათვის. შეუძლებელია ბავშვებს ყველაფერი ერთ შენობაში მოვუწყოთ, ქალაქიდან, საზოგადოებისაგან მოწყვეტილები არ უნდა დარჩნენ ისინი. 1988 წელს გლდანში საფთიაქო სამმართველოსთან ერთად გავხსენით დედათა და ბავშვთა ექსპერიმენტული აფთიაქი, 1989 წელს — ინფექციური გეპატიტის ბავშვთა კორპუსი, ორივე ობიექტისათვის 100 ათასი მანეთი იქნა დახარჯული.

ჩვენს რესპუბლიკაში წინა წლებში დამკვიდრდა კარგი ტრადიცია — ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების სტუმრობა საბავშვო სახლებში 1 ივნისსა და ახალ წელს. ამ წამოწყებაში ჩვენი რესპუბლიკა ნოვატორი იყო. ამ ბოლო წლებში კი, ამ ტიპის ღონისძიებები ყველა რესპუბლიკაში ტარდება, უფრო მეტიც, არ დარჩენილა არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც 1988-89 წლებში თავიანთ საბავშვო ფონდისათვის არ გადაეცა სამკურნალო დაწესებულებები, დასასვენებელი კერები, სტუდენტური სახლები, სავაჭრო თუ კულტურული ობიექტები, რითაც მართლაცდა რეალურ დახმარებას უწევენ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს.

საბაჭუჭარიოდ, ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივ გამონაკლისია — ავერ მესამე წელი გადის ჩვენი დაფუძნებიდან და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას ობლებისათვის არც ერთი ობიექტი არ გადმოუცია.

საბავშვო სახლებში მისვლა და საჩუქრების მიტანა კარგია, მაგრამ ამ ბავშვებსაც ხომ უნდა ჰქონდეთ რაიმე თავისი, სადაც დაისვენებენ, იმუშავებენ, იცხოვრებენ. და ეს ხდება მაშინ როცა ავსტრიის საქველმოქმედო ფირმა „როსფინდერდორფი“ ლისის ტბაზე აშენებს საბავშვო სოფელს, რომელიც 2 მილიონამდე ჯდება, ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტის შტატის საქველმოქმედო საზოგადოება „მშვიდობის ხემ“ ჩვენს ბავშვებს საჩუქრად გადმოსცა სტომატოლოგიური ცენტრი. მგონი დროა საკითხი დადგეს ისე, რომ თუ რაიმეს ვიღებთ, თუ რაიმეს „გამოვიმეტებთ“ ეს ბავშვთა ფონდისათვის კი არა, თითოეული სითბოა, ზრუნვას, მშობლების სიყვარულს მოკლებული ბავშვებისათვისაა.

— წლების განმავლობაში ტრადიციად იქცა, საბავშვო სახლის ბავშვები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პროფსახწავლებელში იგზავნებოდნენ. დღეს რა მდგომარეობაა, ბოლომდე ვადევნებთ თვალყურს ამ ბავშვებს თუ...

— ბოლო 2 წლის განმავლობაში 50 საბავშვო სახლის აღზრდილი გახდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. და ამის შემდეგ ჩვენს ბავშვთა ფონდთან შეიქმნა სტუდენტური საბჭო „იმედი“. განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით ეს ბავშვები ამ ზაფხულს ესპანეთში მიდიან სამოგზაუროდ...

ქალბატონმა დოდომ ერთი ფოტოსურათი მოგვიტანა, რომელიც ამ დღეებში წყნეთის ბავშვთა სახლშია გადაღებული, როცა ამ სახლის აღზრდილები, ახლა უკვე სტუდენტი გოგო-ბიჭები, თავიანთ „ბავშვობის სახლში“ მივიდნენ სტუმრად. ქალბატონი დოდოსათვის თითოეული ბავშვი ნაცნობი კი არა, ახლობელია, თითოეულის ისტორია იცის, თითოეულზე მოგიყვებით... ახლა საბავშვო სახლებს ძველებურად არავინ ტოვებს უყურადღებოდ, ბავშვებიც უზრუნველყოფილნი არიან ჩასაცმელ-დასახურავით, სურსათით, არც ცივათ და სწყურიათ. არც გართობა აკლიათ და ცეკვა-სიმღერა, მაგრამ აქაურებს უფრო დიდი — ყოველ საღამოს დედის ალერსი, მამის ძლიერი მხრების იმედი და „შვილისადმი-ცქერალი“ მშობლების ერთგულება აკლიათ.

ქალბატონმა დოდომ საუბარში გვითხრა — წინააღმდეგი ვარ ბავშვები, რომლებსაც მშობლები ცოცხლები ჰყავთ, საბავშვო სახლებში მივიღოთ, ვეცდებით, თვით ადგილებზევე გავუწიოთ დახმარება, რადგან შეუძლებელია ბავშვებს ის ჰარმონიულობა, და იდილია ხელოვნურად შეუქმნა, რასაც ოჯახი ჰქვია, არა და დღეს საბავშვო სახლებში სრულიად ობოლი ძალიან ცოტაა, უმრავლესობა ბავშვებისა პატიმართა და არაკეთილსაიმედოთა ოჯახებიდანაა. საბავშვო სახლები ნელ-ნელა უნდა დაიცალოს, მაგრამ ეს არამც და არამც არ უნდა მოხდეს უარყოფითი შედეგების ხარჯზე. იმ 1500 ბავშვს, რომელიც დღეს საქართველოს 12 საბავშვო სახლში იზრდება, თითქოს არაფერი უნდა აკლდეთ, მაგრამ...

ეს წერილი კი საბავშვო ფონდში ამ დღეებში მოვიდა ქალბატონ დოდო ეგუტიასთან და მას ხელს საბავშვო სახლის 50-მდე აღზრდილი აწერს:

„უდიდეს მადლობას მოგახსენებთ იმ თანადგომისათვის, რომელსაც პირადად თქვენ და თქვენი კოლექტივი იჩენთ ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მიმართ.

ამ სურათსაც, რომელზედაც ჩვენსავით ბედისაგან დაჩაგრული ბავშვები, საბავშვო სახლების პატარა ბინადარნი და ჩვენ, საქართველოს საბავშვო ფონდის შემწეობით, ამჯერად უკვე სტუდენტები ვართ აღბეჭდილნი, უდიდესი მადლიერების გრძნობით გიძღვნით, როგორც სახსოვარს თქვენს მიერ უკვე გაწეული და გასაწევი მომავალი ქველმოქმედებისათვის.

დღეს ჩვენ მხოლოდ სიტყვიერი მადლობის თქმის საშუალება გვაქვს, მაგრამ იმედია, მომავალში ჩვენც შევძლებთ საქმით გამოვხატოთ თქვენდამი ჩვენი მადლიერება“.

ჩვენ კი მაინც სადღესასწაულო განწყობილებით გვინდა ეს წერილი დავასრულოთ და 1 ივნისი მივულოცოთ ყველა ბავშვს, ყველა პატარას და ბედნიერი, უდარდელი, ღიმილიანი დღეები ვუსურვოთ!

ნინო კვაჭანტირაძე

ზაფხული მოდის

მახსოვს, ბავშვობაში როგორ მეზარებოდა პიონერთა ბანაკში წასვლა, ამიტომ სულ ორჯერ მერგო წილად „ბედნიერება“ მეცხოვრა ბავშვთა უაზარმებში, ისიც ნათესავი მუშაობდა და იმიტომ. გახსენებაც კი მზარავდა იმისა, რომ დილაადრიან წამოგვყრიდნენ, ჯერ ხაზზე მოგვაწყობდნენ, ძილისგან თვალმბლეტელებს რაღაცა რიტუალებს ჩაგვატარებინებნდნენ და შემდეგ ცხვრებივით სახადილოში შეგვყრიდნენ, სადაც ყოველთვის ფაფისა და კიდევ რაღაც ერთმანეთში არეულის სუნი იდგა. თუმცა მე, ნათესავის ბურგს ამოფარებული (ახლა კი, ცოტა არ იყოს, მრცხვენია ამის გამო), არ ვლებულობდი ამ სავალდებულო ღონისძიებებში მონაწილეობას, ჩემი კერძიც ხაერთოსაგან განსხვავებული იყო და უკეთესი გემო და სუნი ჰქონდა, მაგრამ მაინც „მობანაკე“ მერქვა, ბედნიერი „ხაბჭოთა ცხოვრებით“ ვცხოვრობდი.

არც ისე უფროსი ვარ ასაკით, მაგრამ მაინც კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ და პიონერთა ბანაკებშიც ბევრი რამ გაუმჯობესდა. წელს კი საერთოდ გაქრა ეს ტერმინი და იგი ბავშვთა და მოზარდთა დასვენებისა და გაჯანსაღების ბანაკად გადაკეთდა. ბუნებრივია, მშობლებს აინტერესებთ, თუ როგორ პირობებში მოუხდებათ მათ ბავშვებს ზაფხულის გატარება, ბანაკების მხოლოდ სახელწოდება შეიცვალა თუ მუშაობის სტილიცა და მრავალი კიდევ სხვა კითხვა აწუხებთ მათ. ამიტომ შევხვდით და ვესაუბრეთ **საქართველოს პროფსაბჭოს აღმზრდელობითი მუშაობისა, კულტურისა და სპორტის ინტრუქტორს სვეტლანა ჩოჩუას:**

— დავიწყებ იმით, რომ ბავშვთა და მოზარდთა დასვენებისა და გაჯანსაღების ბანაკების დღის წესრიგიდან ამოღებული იქნება პიონერული რიტუალები, სავალდებულო ფორმის ტარების აუცილებლობა. ყველა პირობა იქნება შექმნილი იმისათვის, რომ ბავშვებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცეთ.

სამშობლოს სიყვარული ყოველი ქართველისთვის თანდაყოლილი გრძნობაა. რომ გიყვარდეს უნდა იცნობდე კიდეც. სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე, ბავშვებს შეექმნებათ იმისი პირობები. რომ შეისწავლონ იმ რაიონის ისტორია, სადაც ისინი იქნებიან დაბანაკებულნი.

როგორც ყოველთვის, გვექნება თვითშემოქმედებითი, სპორტული პროფილის ბანაკები, რომელიც ყველანაირად დაეხმარება მოზარდებს იმაში, რომ არ ჩამოშორდნენ თავიანთ საყვარელ საქმიანობას.

ამჟამად, იმ ბანაკებში რომელიც უნდა უმასპინძლოს ბავშვებს, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რათა ბავშვებს ყველანაირად კეთილმოწყობილ პირობებში მოუხდეთ ცხოვრება. აქედანვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი. რათა არ დაირღვევს სანიტარული ნორმები.

ალბათ, მკითხველს აინტერესებს, თუ რომელი რაიონები მიიღებს დასვენების მსურველთ. როგორც ყოველთვის განსაკუთრებით დაიტვირთება ხაშურის, ბორჯომის, კოჯრის, თეთრიწყაროს, გარდაბნის ზონები.

ბევრი ბანაკი გადაკეთდა დედათა და ბავშვთა ბანაკად. დამეთანხმებით, მშობლებისთვისაც და მოზარდებისთვისაც უფრო სასიამოვნოა ერთმანეთთან ახლოს ყოფნა. როგორც მოგეხსენებათ, აჭარა და სვანეთი მდიდარია მრავალრიცხოვანი ოჯახებით. ალბათ, არაფერია იმაზე კარგი. როცა ექვსი-შვიდი და-ძმა ერთად დაისვენებს და მათ გვერდით დედებიც იქნებიან. მშობლებიც, რა თქმა უნდა, ბანაკის მომსახურე პერსონალს მოეხმარებიან, რათა მათ შვილებს ყველანაირი პირობები ჰქონდეთ სრული დასვენებისათვის.

მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები გადანაწილდებიან სხვადასხვა ბანაკებში და, ვფიქრობთ, ასე უფრო შინაარსიანად გაატარებენ ზაფხულს.

როგორც ყოველთვის, ტრადიციულად, სტუმრად მივიღებთ სხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებს. ამჯერად დახმარებას გავუწევთ ბელორუს ბავშვებს. მოგილოცოვის და გომელის ოლქიდან წარმოგზავნილი ჯგუფები ცხოვრობენ ბანაკებიან მანგლისის, წყნეთის, კოჯრის მიდამოებში.

მართლაც დასამახსოვრებლად გაატარებენ ზაფხულს ამიერკავკასიის ტრანსმშენის ბანაკ „მზიურში“. ივლისის თვეში აქ დაგეგმილია კინომოყვარულთა საერთაშორისო ფესტივალის — „თბილისური აისის“ გამართვა.

ვინ იმუშავებს ჩვენს შვილებთან? — ალბათ, ეს კითხვა აწუხებს ბევრ მშობელს. მერწმუნეთ, ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ბანაკებში მეგობრული, თბილი ატმოსფერო სუფევდეს, მით უმეტეს, განათლების სამინისტრო შეგვირჩევს კადრებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან და. ვფიქრობ, პედაგოგები ყველაფერს ეცდებიან, რათა თავისი პროფესიული დებიუტი წარმატებული გამოდგეს.

რესპუბლიკის პროფკავშირები, პროფსაბჭო ჯანმრთელობისა და განათლების სამინისტროების დახმარებით ყველაფერს ცდილობენ იმისათვის, რომ ბავშვებს დასვენებისათვის ყოველმხრივ შესანიშნავი პირობები ჰქონდეთ.

ინგა ჩახვაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალუტა გვჭირდება. არათუ გვჭირდება, აუცილებელია ჩვენთვის. მის გარეშე, ალბათ, არარეალურია თავისუფალ, ძლიერ საქართველოზე ფიქრი. სიბედნიერად, დღევანდელობა წარსულისაგან განსხვავებით მეტ საშუალებას გვაძლევს ვეძიოთ დაავადებული ეკონომიკის შეძლებისდაგვარად გაჯანსაღების, სავალუტო შემოსავლის მიღების გზები.

დაგვეთანმებით, ამ მიზნით აქამდე ნაკლებად გამოიყენებოდა უცხოეთის ტურიზმი საქართველოში. არადა მისი მძლავრი განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელია ჩვენი ისტორიული წარსული, ტრადიციები, უნიკალური ბუნებრივი და კლიმატური პირობები. და აი, ახლახან მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა კიდევ ერთი დამოუკიდებელი კომერციული საგარეო-ეკონომიკური ორგანიზაცია — საქართველოს უცხოეთის ტურიზმის ასოციაცია „საქართველო“, რომელიც იმოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და სავალუტო თვითანაზღაურების პრინციპებით. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ამ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს და გენერალურ დირექტორს ბოდერძე ბუკიას.

ტურისტული მარშრუტებით... ვალუტამდე

— ბატონო ბოდერძე, კონკრეტულად რა მიზნით შეიქმნა ასოციაცია?

— ამგვარი ასოციაციის საჭიროება დრომ მოამწიფა. მისი შექმნისათვის სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები მთავრობის დიდი მხარდაჭერით ერთი წლის წინათ დაიწყო.

ასოციაციის შექმნის ძირითადი მიზანია საზღვარგარეთის დაინტერესება საქართველოს ტურისტული პოტენციალით, ჩვენში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება, პირდაპირი საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოეთის ქვეყნების ფირმებთან და, რაც მთავარია, ყველა ამ საშუალებით რესპუბლიკისთვის ვალუტის მოპოვება. ეს ვალუტა მთლიანად ჩვენთან დარჩება, საქართველოში.

— როგორია ასოციაციაში გაწევრიანების პირობები?

— გაწევრიანება ნებაყოფლობითია და მსურველებმა ამ მიზნით საწევრო შემონატანის სახით 10.000 მანეთი უნდა გადაიხადონ, შემდგომ კი წარმოადგინონ წინადადებები ასოციაციის დირექციაში ურთიერთთანამშრომლობისა და საპაიო წილობრივი შენატანების შესაძლებლობების შესახებ, რომელიც გაფორმდება სათანადო ხელშეკრულებით. საპაიო შემონატანებიდან ისინი მიიღებენ დივიდენდებს როგორც საბჭოთა მანეთებში, ასევე უცხოური ვალუტით კომერციული ბანკიდან, რომელსაც ახლა ვხსნით. დღეისათვის „საქართველოში“ 70-მდე წევრია გაერთიანებული, მათ შორის რესპუბლიკის მთელი რიგი მსხვილი სამინისტრო, უწყება, გაერთიანება, ერთობლივი საწარმო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ყველა მათგანი თავისი საშუალებებით მონაწილეობას ღებულობს ჩვენს პროექტთა განხორციელებაში. სამაგიეროდ „საქართველოს“ ანგარიშზე არსებული შემოსავლიდან ყველა წევრი თავის წილს მიიღებს მისი წვლილის შესაბამისად. ამიტომაც ჩვენთან გაწევრიანების მსურველი უამრავია. უნდა გითხრათ, რომ ასოციაციის წევრობა გამორიცხავს ერომანეთისადმი ძველებურ ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას. მეპაიეები მხოლოდ კომერციული პრინციპის საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობენ.

— ეს თვალსაზრისი, ალბათ, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოთა შექმნისასაც გათვალისწინებულია.

— დიახ, „საქართველოს“ კოლექტიურ წევრთა წარმომადგენლების საბჭო ხელმძღვანელობს, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს და, ასე ვთქვათ, ასოციაციის სტრატეგიული ამოცანები განსაზღვროს, გაანწილოს მოგების შემოსავალი და ა. შ. რაც შეეხება გამგეობას (მასშიც შეპაიეთა წარმომადგენლები შედიან) იგი საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე დირექციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შეიმუშავებს. ჩვეულებრივ, დირექცია აღმასრულებელია.

— საქართველოში ძირითადად შემეცნებითი ტურიზმია განვითარებული. ცხადია, უცხოელებს მხოლოდ ამ სახეობით ვერ დააინტერესებთ.

— ასოციაცია ხელს შეუწყობს ჩვენში ტურიზმის ყველაზე მომგებიან, ძვირადღირებულ სახეობათა დანერგვასა და განვითარებას. მათ განეკუთვნება ეგზოტიკური ტურიზმი, სამთო, მთამსვლელთა, ცხენოსნობა, ფოტონადირობა, საწყლოსნო, სპელეოტურიზმი, სხვადასხვა სახის სამეცნიერო-ინტელექტუალური (ამაში ჩვენი წევრის მეცნიერებათა აკადემიის დიდი იმედი გვაქვს), ე. წ. „სახალხო დიპლომატია“, რომელიც ოჯახებში სტუმრობას გულისხმობს და სხვა. მხოლოდ ამ სახეობათა განვითარებით შეიძლება თავი მოვუყაროთ უცხოელ ტურისტთა მომსახურებით შემოსულ ვალუტას.

— მაგრამ ეს მომსახურება ხომ სერვისის ჩვენში არარსებულ მაღალ დონესაც ითვალისწინებს?

— ამ მხრივ, მართლაც, ცუდადა გვაქვს საქმე. ჯერჯერობით ვალუტის ფასად უცხოელებს შეიძლება მხოლოდ გუდაურის კომპლექსმა უმასპინძლოს. რა თქმა უნდა, ერთბაშად შეუძლებელია სერვისის მსოფლიო სტანდარტებით გათვალისწინებულ დონეს მივაღწიოთ. უახლოეს წარსულში ეს თურქეთის პრობლემაც იყო, დღეისათვის კი მსოფლიო ტურისტულ ცენტრებს არ ჩამოუვარდება. ამჟამად ასოციაციის ფაქტიური შესაძლებლობანი რომ გავისიგრძეგანოთ, ვსწავლობთ მეპაიეთა ხელთ არსებულ საშუალებებს. განზრახული გვაქვს ძველ ტურისტულ ბაზათა ნაწილის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, ახალი ბაზების მშენებლობა. არანაკლებ გვჭირდება მაღალკვალიფიციური კადრები სასტუმროს რიგითი თანამშრომლიდან ხელმძღვანელი მუშაკის ჩათვლით.

ალბათ, კადრების პრობლემა ძირითადად საზღვარგარეთ ახალგაზრდების მიზნობრივი სწავლებისათვის გაგზავნით გადაწყდება. ამასთანავე ვაპირებთ ჩვენთან უცხოელი პარტნიორების დახმარებით ჩამოვაყალიბოთ სპეციალური სკოლა, რომელიც მოამზადებს ყველა რანგის მუშაკს ამ კვალიფიკაციით.

— ეს მომავლისათვის. მაგრამ რით იწყებთ?

— ჯერჯერობით მხოლოდ ე. წ. სპეციალიზებული ტურიზმის ზოგიერთი სახეობის — სამკურნალო, საცხენოსნო და „სახალხო დიპლომატია“ — გამოყენებაზე მიგვიწვდება ხელი. სექტემბერ-ოქტომბერში ამერიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საბერძნეთიდან პირველ ტურისტულ ჯგუფებს მივიღებთ. სამკურნალო მიზნით ჩამოსულებს ბორჯომი, წყალტუბო, ზღვისპირეთი და მთიანეთი უმასპინძლებს. მათ მომსახურებას ასოციაცია თავის ერთ-ერთ წევრთან — ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად განახორციელებს.

— როგორ მოვიზიდავთ ტურისტებს? ვინ გაგვიკეთებს რეკლამას საზღვარგარეთ?

— ასოციაციას თავისი წარმომადგენლობები ეყოლება უცხოეთში. ზოგ ქვეყანასთან ამის თაობაზე უკვე გავფორმეთ ხელშეკრულება, რეკლამასაც ისინი გაგვიწევენ, მაგრამ იგი არა მარტო საზღვარგარეთ, ჩვენს ქვეყანაშიც გვჭირდება. ამიტომაც ვქმნით ჩვენს დირექციებს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, ხოლო ლენინგრადში, ნევის პროსპექტზე, გადაწყვეტილია საქართველოს კულტურის ცენტრის შექმნა, რომელსაც ეშნება საგამოფენო და საკონცერტო დარბაზები, ქართული რესტორანი და სასტუმრო. რეკლამას მოიმსახურებს ასოციაციის საკუთარი გამომცემლობაც. რომელსაც კომპიუტერული სტამბა ეშნება. აქ გამოცემულ მაღალი პოლიგრაფიული დონის სარეკლამო ბუკლეტებს, კომერციულ-ეკონომიურ გაზეთსა და სხვა საინფორმაციო მასალებს საზღვარგარეთ ჩვენი წარმომადგენლობები გაავრცელებენ. სარეკლამო ვიდეოფილმების შექმნაში, ალბათ, ასოციაციის წევრები — ტელევიზია და კულტურის სამინისტრო დაგვეხმარებიან. ამასთან საქმიანობა ისე უნდა წარვმართოთ, აქ ჩამოსული სტუმარი თვითონვე იყოს ჩვენი უფასო რეკლამიორი და, ბოლოს, თვითრეკლამის ერთ-ერთი საშუალება ასოციაციის მიერ უცხოეთის ფირმებთან ეკონომიური კონტაქტების ძიებაც იქნება.

— წესდებით ამგვარი კონტაქტები ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნას, ტურისტული ბაზების მშენებლობასაც გულისხმობს. რას გვეტყვით ამ თვალსაზრისით „საქართველოს“ პირველ ნაბიჯებზე?

— ამაზე ზრუნვა კარგა ხანია დავიწყეთ. საბერძნეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და ამერიკაში ჩვენი წარმომადგენლობების გახსნის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ამავე ქვეყნების სხვადასხვა ფირმასთან უკვე ვდებთ ურთიერთთანამშრომლობის მეტად მომგებიან ხელშეკრულებას. უცხოელ ფირმებთან ერთად ტურისტული სასტუმრო კომპლექსების აშენებას ვაპირებთ თბილისში, წყალტუბოში, ქობულეთში და სხვა ქალაქებში. ასევე ჩვენს პარტნიორებთან ერთად განზრახული გვაქვს ერთობლივი სატრანსპორტო საწარმოს შექმნა, რომელიც კომფორტაბელური ავტობუსებით მოემსახურება ტურისტებს. ასოციაცია დროთა განმავლობაში შეისყიდის ამ საწარმოებს.

— როგორ განხორციელდება ასოციაციის წევრთა უშუალო კავშირები საზღვარგარეთის ფირმებთან?

— შექმნილი გვაქვს სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამ კავშირის მსურველ წევრთა მიერ შეთავაზებულ წინადადებებს სწავლობს. მაგრამ რამ შეიძლება დაინტერესოს თვითონ საზღვარგარეთელი პარტნიორი? ამის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა გზით ვღებულობთ, რაც ჩვენი კომერციული საიდუმლოებაცაა. ხელშეკრულებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენასა და სხვა პრობლემათა გადაწყვეტაში ჩვენს მეპაიეებს სპეციალისტ-კონსულტანტთა მეორე ჯგუფი ეხმარება. როგორც ხედავთ, ასოციაცია უცხოეთის ქვეყნების ფირმებთან ურთიერთობისას ძირითადად ორგანიზატორის როლში გვევლინება, საერთო პრობლემათა პროფესიონალურ დონეზე გადაწყვეტაში კი მეპაიეები მონაწილეობენ.

— როგორ განაწილდება ასოციაციის სავალუტო შემოსავალი?

— ვალუტა წევრებს შორის საპაიო შემონატანის წილის მიხედვით განაწილდება გარკვეული პროცენტების ფარგლებში, რომელიც ჯერ ზუსტად არ არის განსაზღვრული. იგი გადაირიცხება ქვეყნის ბიუჯეტშიც; ასოციაციის განკარგულებაში დარჩენილი ვალუტა კი ძირითადად ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას, აგრეთვე ჩვენს მიერ შექმნილ დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, კულტურის დაცვისა და სხვა ფონდებს მოხმარდება. საერთოდ, ყველა ჩვენი სოლიდური განზრახვა, რომელიც ვალუტის მოხმარებასთან იქნება დაკავშირებული, საზოგადოებრივი განხილვის საგანი გახდება.

— ბატონო ბოდერძე, არის თუ არა საბჭოთა კავშირში მსგავსი ასოციაციები? როგორია მათთან ურთიერთობა?

— ასეთივე ასოციაციები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ლენინგრადსა და უკრაინაშია შექმნილი. მათთან თანამშრომლობის ხელშეკრულება დავდეთ, რომელიც ტურისტებისა და ინფორმაციის გაცვლას ითვალისწინებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გაიპარა მცდარი ინფორმაცია, თითქოს ჩვენ რესპუბლიკის ინტურისტს ვუპირისპირდებით. პირიქით, ჩვენი ურთიერთობა როგორც მასთან, ასევე ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოსთან კოლეგიალურია, ჩვენ მათი გამოცდილების გათვალისწინებით ვაპირებთ მუშაობის წარმართვას ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ „საქართველოს“ ყველა წამოწყებას მხარს უჭერს და ეხმარება რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მთავრობა. ასოციაცია ჯერჯერობით კომერციულია, მომავალში შეიძლება საჯაროდ გახდეს. ეს კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის მის საქმიანობას. ასეცაა საჭირო—ხვალინდელი საქართველოსათვის ხომ ჰაერივით გვჭირდება ვალუტა.

ესაუბრა
ზაია თუნგია

პირველი ყრილობა

ამა წლის 29 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თავისი პირველი ყრილობა ჩაატარა წმინდა ილია მართალის საზოგადოებამ. ყრილობამ პირველ საკითხად განიხილა საზოგადოების პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით საზოგადოებაში შექმნილი ვითარება. განიხილა და დამტკიცა წესდება, შესდგა საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის არჩევნები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ყრილობამ მიიღო რეზოლუცია.

საზოგადოების წევრთა ნაწილმა გამგეობის ყოფილი წევრის გურამ გოგბაიძის მეთაურობით სცადა საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა — ე. წ. ფორუმის მომხრეთა ფრაქციის ჩამოყალიბება. მას შემდეგ, რაც ყრილობამ გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გურამ გოგბაიძის ხანგრძლივ და ბუნდოვან განმარტებებზე, მან და მისმა მომხრეებმა ყრილობის მუშაობის დეზორგანიზაციის აშკარა მცდელობის მიზნით დატოვეს ყრილობა.

ყრილობამ დაადგინა, რომ აღნიშნული ჯგუფის წევრები საზოგადოების გახლეჩვის და დისკრედიტაციის ცდისათვის გარიცხულ იქნენ საზოგადოებიდან.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი

1990 წლის 25 მაისს, ახალგაზრდულ ქალაქში დაფუძნდა საქართველოს ახალგაზრდული კავშირი. საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდობის ინტერესების დამცველ ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რეგიონალური ორგანიზაციები დღეს რესპუბლიკის 82 ქალაქსა და რაიონშია შექმნილი. მიმდინარეობს გაწევრიანების პროცესი. ყველა მსურველს, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა, პარტიულობისა და პროფესიისა, შეუძლია გახდეს მისი წევრი. ახალგაზრდული კავშირი ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის აღდგენას; დაიცავს ახალგაზრდობის სოციალურ ინტერესებს. უფრო შეაკავშირებს საქართველოში მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების ახალგაზრდას.

ჩვენი თაობის წრფლხვედრია დამოუკიდებელი საქართველოს შენება. კარგად უნდა გვესმოდეს და გავითავისოთ ის აზრი, რომ თვითონ ყველაზე სანუკვარ ოცნებათა და მიზანთა ხორცშესხმა. მათი რეალობად გადაქცევა მხოლოდ და მხოლოდ თითოეული ჩვენთაგანის სიმშვიდითა და მოთმინებით, მონდომებით, საქმის გულთან მიტანით შეიძლება.

სწორედ ასე უნდა ვიშენოთ საქართველოს მერმისი, იგი ხომ თითოეული ჩვენთაგანის ხვალინდელი დღეა!

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები.

აკურთხეს ბავშვთა სახლი

26 მაისს მარტყოფის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ზაქარიამ აკურთხა მარტყოფის ბავშვთა სახლი, სანთლებით და ხატებით ხელში 70-მდე ბავშვი იღებდა მონაწილეობას ამ რიტუალში. საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთამ“, რომლის ინიციატივითაც განხორციელდა კურთხევა, გადასცა საჩუქრად სატრიკოტაჟო-საწარმოო გაერთიანება „ბლდანის“ მიერ (დირექტორი რუდოლფ რაქვიაშვილი) შემოწირული პროდუქცია და ფოტო-ალბომი, რომელზედაც ბავშვთა სახლის ბინადარნი და „სავანეთას“ წევრები აღდგომის დღესასწაულის მოლოცვის დღეს არიან აღბეჭდილნი. ბოლოს ბავშვებმა გამართეს კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საესტრადო ანსამბლი და მომღერლები.

გიორგი დაფქვიაშვილი,
„სავანეთას“ პრეზიდენტი

ვაცხადებთ კონკურსს

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი აცხადებს კონკურსს. კავშირის სიმბოლოკის შესაქმნელად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერი ასაკის მხატვრებს. რომელთაც 1990 წლის 1 ივლისამდე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტში უნდა წარმოადგინონ საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ემბლემისა და დროშის ესკიზები.

საკონკურსო მასალების მიღება იწარმოებს მისამართით: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 11, პირველი სართული.

კონკურსში გამარჯვებულისთვის დაწესებულია ფულადი პრემია 1500 (ათას ხუთასი) მანეთის ოდენობით.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი

ინფორმაცია

საქართველოს ტელევიზია, საქართველოს ბავშვთა ფონდი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო 5 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აწყობენ საქველმოქმედო საღამოს „ღედა-საქართველო ყველას შობელია“.

საღამოს შემოსავალი გადაირიცხება საქართველოს ბავშვთა ფონდში და მოხმარდება უდედმამო, მშობელთა ზრუნვას მოკლებულ და ინვალიდ ბავშვებს.

ფონდის ანგარიშის ნომერია 000700516 ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო.

1 ივნისი — ბავშვთა დაცვის დღე

სინანული

მაშ, მეორე კლასში უკვე
გადახვედი, შვილო? —
მოეფერა დილით დედა
ცუგრუმელა ნინოს.
— ჰო, დედიკო, გადავედით
ორმოცივე ბავშვი
ჩვენი მასწავლებელი კი
დარჩა პირველ კლასში.

თემოს ვკითხე

— დღე-ღამეში სულ რამდენი
საათია აბა?
— რამდენი და ოცდახუთი, —
მიპასუხა სწრაფად.
— როგორ-მეთქი? —
გაკვირვებით
მივაჩერდი თემოს.
— გუშინ არ თქვი, რომ საათით
მოიმატა დღემო.

შენ თუ იცი...

დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდა,
იათამზეს ჰკითხა ბენომ:
— შენ თუ იცი, თაგუნები
რამდენ ხანსა ცოცხლობენო?
ჯერ ჩაფიქრდა წამით გოგო,
შუბლზე თითებმიდებული,
მერე უთხრა:
— ეგ ფისოზე
არის დამოკიდებული.

კახას ცხენი

კახამ გულში ნადები
გაუმხილა დედას:
— ხატვის მასწავლებელი
ცხენს ვერა ცხობს, ნეტავ?
— აგრე რატომ გგონია,
აბა ერთი, მითხარ?
— მე რომ ცხენი დავხატე,
რა არისო? მკითხა.

ზოთა ამირანაშვილი

როგორ ერთობიან პატარები...

(მათ ნუ წაუკითხავთ)

— „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი?!“... პასუხი ვიცით: „იმიტომ, რომ არ ჰქონდა სათამაშო...“ არადა, მუშტაიდის ბაღში ყველაზე ლამაზი, გამძლე და ნამდვილი კარუსელი სწორედ რევოლუციამდელია — 85 წლის ფრანგული საჩუქარი...

●

მე მეგონა, ახლანდელ ბავშვს ვერაფრით გააკვირვებდი... ბავშვს მაინც უხარია მაბათი და კვირა, მშობლები რომ მოიცლიან და გაასეირნებენ, ხოლო ყველაზე დიდი ჯილდო უფროსებისათვის მათი სიხარულისაგან გადიდებული თვალები ყოფილა...

უფროსებიდან ერთ-ერთს, მუშტაიდის ბაღის დირექტორს ბატონ ომარ ბაბუნაშვილს ვესაუბრებით...

— დისნეი ლენდი ალბათ ოცნებაა...

— ოცნება?! ასე თუ ისე, ოცნების ასრულება შეიძლება... დისნეი ლენდი ისეთი ოცნებაა, არასდროს რომ არ ასრულდება...

ვერც ჟურნალისტი მივა კრიტიკული მასალის გასაკეთებლად დასასვენებელ ადგილებში, ვერც ვერავინ აიძულებს თავი იმართლოს ატრაქციონების დირექტორს ცუდად მოწყობილი გართობისათვის, რატომ და იმიტომ, რომ ეს ალბათ ის შემთხვევაა, როცა თავს ზემოთ ძალა აღარ არის... აქ უკვე ახალ ატრაქციონებზე ლაპარაკი ზედმეტია, მუშტაიდის ბაღში მდგარ 18 ატრაქციონს ყოველ წელს არემონტებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნონ...

ბავშვებს ყველაფერი ისე აქვთ, როგორც ორა-დიდებს... ჩინოვნიკები ბავშვთა გართობის მოსაწყობად ფულს გასცემენ ალბათ იმიტომ, იციან, ბავშვს ვერ გააგებინებ, რომ საშმელი არ არის, რომ ჩასაცმელი არ არის, რომ ყველაფერის ფასები იმატებს, რომ უდიდესი პოლიტიკური მოვლენების დროა... ფსიქოლოგებმა კი თქვეს, — როგორი სათამაშოებიც ექნებათ ბავშვებს, ისეთები გაიზრდებიანო...

●

როგორ ერთობიან პატარები...

არ მოუყვეთ ის, რომ მათი საყვარელი პარკი 42 ჰექტარი იყო ოდესღაც (ახლა შვიდია), რომ თუ დიდი და კეთილი ძიები პარკის რეკონსტრუქციას დროზე გააკეთებენ, ახალი, საზღვარგარეთული ატრაქციონები ექნებათ, რომ თუ პარკი დროზე არ შემოღობეს, შეიძლება იმ დარჩენილ 7 ჰექტარზეც ვეღარ ისეირნონ...

ახალგაზრდა ბაბუა: დამყავს ამ ბაღში ბავშვი, აბა, სად წავიყვანო. უფრო მრავალფეროვანი პარკი არც ერთი არ არის გართობის მხრივ თბილისში. არადა, მარტო ტრიალი და ბზრიალი არ უნდა იყოს, ბავშვს ფანტაზია უნდა გაუმდიდრდეს, გემოვნება დაეზვეწოს...

დედა: ბავშვს ყოფნის გასართობად. ალბათ უკეთესადაც შეიძლება ყველაფრის მოწყობა... თანაც მარტო რომ ყველა ატრაქციონზე დასვა ბავშვი, 4 მანეთამდე ჯდება, აქ — ნაყინიო, იქ — წვენიო... იქნებ ამასაც მიექცეს ყურადღება...

პატარა: მე ჯადოსნური ქოლგებიც მინდა, რომ ვეტყვი — ამწიე ჩიტის ბუდემდე — ამწიოს...

●

ხომ გახსოვთ ერთი ქართველის ნათქვამი დისნეი ლენდზე რომ დასეირნობდა: ასე მეგონა, ჩემს შვილებს ბავშვობას ვპარავდიო...

არც ბავშვობა რომ არ მოვიპაროთ და პატარებს გული არ დავწყვიტოთ, ნუ წაუკითხავთ ამას... ხომ იცით, ბავშვი ვერ გაიგებს იმას, რომ...

მაია ჭალაგანიძე

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

კოლუმბია

თქმა არ უნდა, კოლუმბიის ნაკრები ჩამოუვარდება სამხრეთ ამერიკის „გრანდებს“. ამასთან ერთად ამ ნაკრებს ტრადიციულად ნაკლები სახელი აქვს. ვიდრე კოლუმბიის უძლიერეს კლუბებს, რომლებიც სისტემატურად ემყარებიან უცხოელ „ვარსკვლავებს“.

ფეხბურთის ასოციაცია („ასოსიასიან კოლუმბიანა დე ფუტბოლ“) 1924 წელს შეიქმნა. ფიფას წევრი 1931 წელს გახდა, 1948 წელს გაირიცხა ამ ორგანიზაციიდან წესების დარღვევის გამო, 1952 წელს კი კონფლიქტი მოგვარდა და კოლუმბიელები ფიფაში აღადგინეს. ეროვნულ ჩამპიონატში („დი მაიორ“) ტრადიციულად 14 გუნდი მონაწილეობს, ამასთან შეჯიბრება 4 წრედ მიმდინარეობს.

დღეისათვის კოლუმბიაში 3700 კლუბია, 200 ათასამდე აღრიცხული ფეხბურთელი, აქედან 500 პროფესიონალია და ამდენივე ნახევრად პროფესიონალი. ქვეყნის ყოველ 152 მცხოვრებზე 1 ფეხბურთელი მოდის. ქვეყნის პროფესიონალურ კლუბებს 5-5 უცხოელის მოწვევა შეუძლიათ.

მწვრთნელ ფრანსესკო მატურანას ნაკრების ჩამოყალიბება არ გასჭირვებია. იგი დაეყრდნო ისეთ ძლიერ პროფესიონალურ კლუბებს, როგორნიც არიან „ნასიონალი“ (მედელინი), „მილიონარიოსი“ (ბოგოტა) და „ამერიკა“ (კალი).

ორ გადამწყვეტ შეხვედრაში ოკეანიის ზონაში გამარჯვებულ ისრაელის ნაკრებთან შინ კოლუმბიელებმა გაიმარჯვეს (1:0), თელავივში კი შეუპოვარი დაცვის წყალობით ფრეს მიაღწიეს (0:0). ამრიგად კოლუმბიის ნაკრებმა თავის არსებობის მანძილზე მსოფლიო პირველობის ფინალურ ნაწილში თამაშის უფლება მოიპოვა.

როგორც კოლუმბიელთა მწვრთნელი მატურანა თვლის, მისი გუნდი კარგად არის დაკომპლექტებული და იტალიაში ურიგო შედეგებს არ უნდა მიაღწიოს. იგი ძალიან აქებს ძირითად მეკარეს, 24 წლის იგუიტას, რომელიც მეტად საიმედოდ თამაშობს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ორ მძიმე მატჩში ისრაელის ნაკრებთან. ამავე დროს იგუიტა ცოტა ექსცენტრიულიცაა. იგი ხშირად ბურთიანად გამოდის კარიდან და მინდვრის შუაგულამდე აღწევს. ასეთი „თავხედური“ მანერა, ცხადია, პირველ რიგში თვით კოლუმბიელებს უქმნის საფრთხეს, მაგრამ ჯერჯერობით „მოიერიშე მეკარე“ ჯეროვნად არ დასჯილა. ერთი თავისებურებაც — იგუიტა კარგა ხანია ოსტატურად იყენებს 11-მეტრიან საჯარიმოს უშეცდომოდ ურტყამს. რა თქმა უნდა, ნაკრებების დონეზე იგი პირველი „მეკარე-პენალტისტი“ არაა, მაგრამ ასეთ ამპლუაში გამოსვლა, გასაგებია, ფრიად ეფექტურად ითვლება. დაცვაში პირდაპირ შეუცვლელად ითვლება 27 წლის პერეია, ამრგოლის შემადუღაბებელი მოთამაშე ამჟამად ყველაზე უფრო ცნობილ ფეხბურთელად ითვლება 29 წლის ვალდერამა, თავმდამსხმელი, რომელიც 1987 წელს სამხრეთ ამერიკას № 1 ფეხბურთელად აღიარეს, შემდეგ კი ევროპაში გაემგზავრა და ახლა საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „მონპელიეში“ გამოდის. ვალდერამას გარდა კიდევ რამდენიმე კოლუმბიელი ოსტატი თამაშობს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის კლუბებში, ამიტომ ისინი საკონტროლო მატჩებში არ მონაწილეობენ.

გივი გამრეკელი

Ахалгазрда Ивериели
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, სუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380008, თბილისი-98, მ. კოსტავას ქ. № 14, ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 66400
უე 00296

რედაქტორი
ფერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380008
მ. კოსტავას ქ. № 14.